


საქართველო

ეროვნული თავისუფლების ბრძოლა - ეროვნული თავისუფლებისათვის
ეროვნული თავისუფლების ბრძოლა - ეროვნული თავისუფლებისათვის



საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათს და შაბათს

№6 (1636)

24-27 იანვარი 1998 წ.

ფასი 50 თეთრი

ედუარდ შევარდნაძე - 70 - ასე ულოცავს ქრელი საქართველო



ბატონო პრეზიდენტო, თქვენ სვალ, 25 იანვარს, დაბადებიდან 70-ე წლისთავს მთელი მსოფლიო მოგილოცავთ, ვინაიდან პლანეტის ერთ უმცირეს წერტილში დაბადებული კაცის სახელი და გვარი - ედუარდ შევარდნაძე, მთელმა დუნია იცის. ეს თქვენი ბედნიერებაც არის და თქვენი ქვეყნის ბედნიერებაც.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენს სადღეგრძელოს სვალ არ ასწევინ ჩვენივე აფხაზეთში, ჩრდილო ქართლსა და...

ეს თქვენი უბედურებაც არის და თქვენი ქვეყნის უბედურებაც...

ამ აზრით, თქვენ ტრაგიკული კაცი ბრძანდებით.

ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მეფეების ბედი თითქმის ყოველთვის გადაჯაჭვული და ურთიერთ-განპირობებული იყო.

გისურვებთ ბედნიერებას, რომლის საფუძველი საქართველოს ბედნიერება იქნება.

ნოდარ გრიგალაშვილი



მარგინაძე პრეზიდენტს რუსული ლექსით მიულოცა

საპარტოვალოს ყოფილმა ვიცე-პრემიერმა, ამჟამად „საქართველოს დემოკრატიული კავშირის“ ლიდერმა, ათანდილ მარგინაძემ საქართველოს პრეზიდენტს დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით უპირველეს ყოვლისა ჯანმრთელობა და თავის პოსტზე ყოფნისას ისეთი მუშაობა უსურვა, როგორც იგი კომპარტიის ცკ-ის პირველ მდიანად ყოფნისას მუშაობდა. „მხოლოდ ასე გადაარჩენს იგი თავის სამშობლოს“ - აღნიშნა მარგინაძემ.

მარგინაძე სურვილი გამოთქვა, რომ „შევარდნაძე საქართველოსთვის გიორგი ბრწყინვალედ იქცეს“.

მარგინაძის თქმით, „შევარდნაძე 13 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის გმირი იყო, რადგან იგი ვაჟაკურად მუშაობდა“.

გვა-ს კორესპონდენტთან საუბრისას მარგინაძე აღნიშნა, რომ იგი ისეთ შევარდნაძეზე ოცნებობს, როგორც საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდიანი იყო. „იგი მშობლიურმა კომპარტიამ აღზარდა. შევარდნაძემ იცის, როგორ წარუძღვეს წინ ხალხს“. საქართველოს დემოკრატიული კავშირის“ ლიდერმა საქართველოს პრეზიდენტს დაბადების დღესთან დაკავშირებით ლექსი მიუძღვნა:

Народу верен будь всегда
Пусть будет твердым шаг твой в жизни
Талантов всех сильнее, страстней
Талант служения Отчизне.

პანტელეიმონი საიუბილეოდ პრეზიდენტს გადავცემას უსურვებს

საპარტოვალოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე საქართველოს პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს დაბადების დღესთან დაკავშირებით ჯანმრთელობას და სადგონებას უსურვებს, რათა საქართველოს პრეზიდენტმა ბოლოსდაბოლოს გაიგოს, რომ იგი უნდა გადადგეს ამ თანამდებობიდან და ეს მისი მხრიდან საქართველოსთვის დიდი საჩუქარი იქნება.

შევარდნაძის მოდერნიზაციის შეფასებისას პანტელეიმონ გიორგაძემ აღნიშნა, რომ „პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას მან მთლიანად დაანგრია, დაანაწევრა და ეკლესიის ორმოში ჩააგდო საქართველო. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდიანის პოსტზე ყოფნისას შევარდნაძემ დაშალა კომუნისტური პარტია, ხოლო დღეს, „მოქალაქეთა კავშირის“ სათავეში ყოფნისას, ქვეყანა კაპიტალიზმისკენ მიჰყავს, რის გამოც დღეს ვეტერანები შიმშილობენ, იხოცებიან ბავშვები...“

ქპ-ის ლიდერმა პრეზიდენტი ამჟამად დაინდო

ქპ-ის ლიდერი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია საქართველოს პრეზიდენტს 70 წლის იუბილეს ულოცავს და მას ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში წარმატებებს უსურვებს ქვეყნის საკეთილდღეოდ რაც შეეხება პრეზიდენტის საქმიანობის შეფასებას, ოპოზიციონერმა სარიშვილი-ჭანტურიამ იუბილარი „დაინდო“ და ამჯერად თავი შეიკავა იმ მოტივით, რომ მილოცვების ფონზე მისი შეფასება საკმაოდ შეუფერებელი იქნებოდა.

გოგუაძის მილოცვა

„ქსარდ შევარდნაძე XX საუკუნის ისტორიული პიროვნებაა. იმას ვერავენ უარყოფს, რომ საქართველოს პრეზიდენტი არაორდინალური, ჭკვიანი და დიდი პიროვნებაა“ - აღნიშნა საქართველოს პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა, ამჟამად საქართველოს სახალხო-პატრიოტული ძალების ერთ-ერთმა ლიდერმა, ვახტანგ გოგუაძემ.

დაბადების დღესთან დაკავშირებით ვახტანგ გოგუაძემ საქართველოს პრეზიდენტს გამარჯვება და თავისი დიდი რესურსების გამოყენება უსურვა.

პრეზიდენტის მიერ შეწყალებული ცომაია - პრეზიდენტის შესახებ

„ზნაძე განმათავისუფლებლის“ პარტიის ლიდერი, ლეილა ცომაია თვლის, რომ საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღე არა თუ არ უნდა აღინიშნოს, არამედ ქართულ კალენდარშიც კი არ უნდა იყოს შეტანილი. მისი თქმით, ამჟამად საქართველოს პრეზიდენტი არ ჰყავს. ეს პრეზიდენტი არის პოლიციის, პარლამენტის და უშიშროების პრეზიდენტი.

ლეილა ცომაიამ შევარდნაძეს ტირანი უწოდა და მის შეიღწილიან საქმიანობას საქართველოში ქვეყნისათვის შავნული ხანა, რომელიც ნგრევით, კრიმინალური მდგომარეობის პოლარიზაციით იქნა მიღწეული. „როგორც ტირანი - შევარდნაძე ხელისუფლებას უნდა ჩამოშორდეს“ - განაცხადა ცომაიამ. (გვა)

კაკუბავა ღაბაძის დღეს მხოლოდ მივობრებს ულოცავს

„როცა აფხაზეთში შევარდნაძის გვერდით იარაღით ხელში ვიდექი, მეგონა, რომ ყველა დღესასწაულს მას სოხუმიდან მიულოცავდი. მაგრამ იქ დატოვებული საფლავები და მთელ საქართველოში გაბნეული უბედური თანამემამულეები ამის საშუალებას არ მამძღვევენ“ - განაცხადა დემუტატმა ბორის კაკუბავამ.

მისივე თქმით, დაბადების დღეებს ერთმანეთს მეგობრები ულოცავენ, ის კი ალაშიანს, რომელიც საქართველოს ტერიტორიებს უკვე იურიდიულად ასხეისებს თავის მეგობრად ვერ ჩათვლის ბორის კაკუბავა ედუარდ შევარდნაძის 25 წლიან პოლიტიკურ მოდერნიზაციას საქართველოს წინაშე ჩადენილ დანაშაულად მიიჩნევს და მის ერთადერთ შედეგად ტერიტორიების დაკარგვასა და გაუბედურებული ადამიანების არსებობას თვლის. „დიდი ბედნიერება იქნება, თუ 70 წლის იუბილეს შემდეგ შევარდნაძე თვითმფრინავით რომელიმე ქვეყანაში გაფრინდება, სადაც თავისი ფულების წყალობით მშვიდად გაატარებს მოხუცებულობის ხანას“ - დასძინა კაკუბავამ. (გვა)

23 იანვარს თბილისის სასულიერო აკადემიამ და სემინარიამ საპატრიარქოში... კონფერენციაზე თავის სიტყვაში კათალიკოს-პატრიარქმა განაცხადა...

თქველაგაბი ღარინილი სან პრეკლე მეფისა

მეფე პრეკლე ამალით თბილისიდან გორს მიემგზავრებოდა... გზად გავლა მუხრან-ბატონის მამულზე მოუხდა...

ბანსხალაგაბი ბინები იყიდება 6 ოთახიანი მაღალ დონეზე გარემონტებული ბინა...

ბუნდღეხი და ბუნდღეხით დაბუნდღეხილი და ბუნდღეხით დაბუნდღეხილი... კონფერენციაზე თავის სიტყვაში...

ლამარის მაკონსტრუქციები 23 იანვარს გამართულ II ბირთვიანი მოძრაობის შედეგად ნომრები: 100 ლარი - 159422, 10 ლარი - 259422...

მთავარი რედაქტორი ნოდარ ბრიგადაშვილი

ბუნდღეხი: რედაქტორი: 93-20-36, მთავარი: 93-18-41

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუთხის ა. 5 ბაზეთის ინდექსი 66447 ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444